სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ოზურგეთის მ. ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2022 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, მაია ჭიჭილეიშვილის მიერ და მეორე მხრივ, ოზურგეთის მ. ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“), წარმოდგენილი დირექტორის, ავთანდილ თავართქილაძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებული, უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლების, შემოქმედებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ურთიერთთანამშრომლობის პოპულარიზაციას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს.
1.3. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.4. ცენტრი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის გავლას.
1.5. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს (გამოფენები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, კურსები, ბეჭდურ გამოცემებთან თანამშრომლობა და სხვ.).
1.6. ცენტრი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

მუხლი 2
2.1. წინამდებარე მემორანდუმში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები ამლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3
3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
მ. ჭიჭილეიშვილი

საქართველო, ბათუმი
ვაჟა-ფშაველას ქ. N 32
ტ. +995 593 362361
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

ოზურგეთის მ.ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრი
დირექტორი
ა.თავართქილაძე

საქართველო, ოზურგეთი
რუსთაველის ქ. N 6
ტ. (+995 496) 7 45 42
ელ.ფოსტა: tandila2009@rambler.ru
ვებ.გვ.